თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7809170

ნომერი: AR11128931

თარიღი : 12.02.2026

გაცემის თარიღი : 16.02.2026

გაცნობის თარიღი : 16.02.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა, N 8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ამაშუკელი პ/ნ 01008056713
- საქართველო, ქალაქი თბილისი, გრიგოლ მუხაძის ქუჩა, N 6, ბინა 1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2026 წლის 12 თებერვლის №AR11128931 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 12 თებერვალს №AR11128931 განცხადებით მომართა დავით ამაშუკელმა და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის

2 მაისის №7466429 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 2 მაისის №7466429 ბრძანებით, №01.19.19.009.007 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2025 წლის 21 მაისის №7486755 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2025 წლის 26 დეკემბრის №7753529 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2025 წლის 2 მაისის №7466429 ბრძანებაში მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2025 წლის 2 მაისის №7466429 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ შეთანხმებულ გეგმებზე დაფიქსირებულ ფართობებზე არ არის შესაბამისი მაჩვენებლები დაფიქსირებული. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება და შეთანხმებული გეგმების ჩანაცვლება წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი, გასწორებული გეგმებით.
სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ ვინაიდან, წარმოდგენილ -6.0 და -3.0 ნიშნულების გეგმებზე დაფიქსირებულ ავტომობილების სადგომებზე, დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე არის ფართობები დაფიქსირებული, საჭიროა ავტომობილების სავალ ნაწილზეც მითითებულ იქნეს შესაბამისი მაჩვენებელი. ამასთან, წარმოდგენილ გეგმებზე გამოტანილ ექსპლიკაციებზე ქვედა მარჯვენა კუთხეში შეცვლილია თარიღები (საჭიროა დაფიქსირებულ იქნეს შეთანხმებულის იდენტურად). აგრეთვე, წარმოდგენილი და შეთანხმებული ±0.0 და +28.1 ნიშნულების გეგმები შეუსაბამოა ერთმანეთთან, დამატებულია კარის ღიობები. რაც დაუშვებელია. აღნიშნული არ წარმოადგენს ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივ საფუძველს. საჭიროა შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ცვლილება (კორექტირება).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში:
1.1. საჭიროების შემთხვევაში დააზუსტოს მოთხოვნა ავტოსადგომისა და საერთო ფართობებთან დაკავშირებით.
1.2. წარმოადგინოს სამსახურის 2025 წლის 2 მაისის №7466429 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმების იდენტური არქიტექტურული გეგმები, გეგმარების ცვლილების გარეშე, მხოლოდ დაზუსტებული მაჩვენებლების დაფიქსირებით.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2026 წლის 12 თებერვლის №AR11128931 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.